

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

24 იანვარი 2018 წელი

13 : 00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ბარამიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, კობა მაგნიძე.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, თამთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1/.

სხდომა 13 : 00 საათზე გახსნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის

დღის წესრიგი

1., ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივ სარგოების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

2., ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივ სარგოების განსაზღვრის, მერიის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და მერიის აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დავით გაბუნია

3.ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ივანე მამფორია

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივ სარგოების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.01.2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016267) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე თანამდებობრივი სარგოს ოდენობა იგივე რჩება:

საკრებულოს თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	2650
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1700
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1350
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1350
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1000

საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა გაიზარდა კერძოდ:

დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	I	1500
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	II	1200
I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე	III	900
II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	750

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ გაქვთ რაიმე შენიშვნა ან მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა გელა ჩიკვაიძემ შენიშვნის სახით დააფიქსირა თავისი მოსაზრება:

მე პირადად ძალიან შეუსაბამოდ მიმაჩნია ასეთი სარგოს განაწილება, რატომ არ ემატებათ სოფლის წარმომადგენლებს თანამდებობრივი სარგოები, ბენზინი მაინც მივცეთ ყოველ თვიურად 50 ლიტრა და კიდევ თუ მატება იქნება ხელფასების, შესაბამისობა უნდა იყვეს თანამდებობის რანგების მიხედვით. კომისიის წევრებმა დაეთანხმა ბ.ნ გელა ჩიკვაიძეს და აღნიშნეს, რომ გავიტანოთ წარმოდგენილი საკითხი როგორც არის და ჩვენ - ჩვენი მოსაზრებები და შენიშვნები დავაფიქსიროდ ბიუროს სხდომაზე.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა - დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N1 და დანართი N2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N1 და დანართი N2-ში და დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართი N1-ის, დანართი N2-ის და დანართი N3-ის შესაბამისად

წარმოდგენილ საკითხს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დანართის სახით თან ახლავს.

კომისიის მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

აღნიშნული საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანა.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 4

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ივანე მამფორიამ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ დადგენილების

პროექტის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი 3600,8 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსულობები, რომლითაც განხორციელდება შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

აღნიშნულ საკითხს ინფრასტრუქტურული პროექტის დასახელება დანართის სახით თან ერთვის.

ასევე მომხსენებელმა განმარტა, რომ საკუთარი სახსრებიდან გასაწევ ხარჯებში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები: შრომის ანაზღაურების მუხლი იზრდება 87,0 ათასი ლარით, პროცენტების მუხლი იზრდება 53,0 ათასი ლარით (მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის მომსახურების თანხა), ხოლო არაფინანსური აქტივების მუხლი 7,6 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი მცირდება 85,1 ათასი ლარით, ვალდებულებების კლების მუხლი 62,5 ათასი ლარით.

კომისიის მხრიდან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.
წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 5

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე